№ 15 20 იანვარი, შაბათი 1866—1879 20 იანვარი, შაბათი № 15

დროება

ᲣᲙᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲠᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲚᲘᲠᲘᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲓ.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., [illegible] ცალკეთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

პარიზი, 17 იანვარს. მარშალ მაკ-მაჰონმა გამოაცხადა უარი ჯარის კამანდირების გამოცვლის დეკრეტმა. სამინისტროს ჰქონდა ამის თაობაზედ ნაციონალური ძრების უმრავლესობის წარმომადგენლებთან მოლაპარაკება. ძრების მოთავეებმა გამოაცხადეს, რომ იმათ ჰსურსთ, რომ მარშალ მაკ-მაჰონმა ახლა მიატოვოს პრეზიდენტობა, არ უნდათ იმასთან უკმაყოფილება და ამის გამო მიანდეს მინისტრებს, ხელ-ახლად სთხოვონ იმას, რომ ხსენებულს დეკრეტზე ხელი მოაწეროს. მინისტრებმა გამოაცხადეს, რომ, თუ მაკ-მაჰონი არ მოაწერს ხელს იმ დეკრეტს, მაშინ ისინი მიატოვებენ თავიანთ თანამდებობას.

კეტერბურღი, 18 იანვარს. მინისტრების კომიტეტმა გადაწყვიტა მიეცეს კონცესსია თფილისიდამ ბაქომდინ რკინის გზის გაყვანისა, სულ 520 ვერსის მანძილზედ. ბადაწყდა აგრეთვე ფოთი-თფილისის რკინის გზის ერთის სტანციიდამ ბათუმამდინ უნდა გაიყვანონ გზა, სულ 185 ვერსი. ეს გზა ზღვის ნაპირას არ გაივლის.

სტამბოლი, 17 ი.ანვარს. მაკედონიაში და ალბანიაში ხალხი ძალიან აღელვებულია.

სარაევო, 17 ი.ანვარს. ოსმალები ამაგრებენ ნოვი-ბაზარს და ახალი ჯარებიც გამოგზავნეს ამ ქალაქში.

საქართველო

ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ „ᲓᲠᲝᲔᲑᲐ"

სტატია მესამე

საზოგადო ქვეყნის ისტორია ჩვენ ჯერ ვერ აგვიხსნის იმ გარემოებას, როდის მოსულა ის თურქის მოდგმის ხალხი, რომელიც დღეს უწინდელს სომხეთში და ადერბეიჯანშია დაბინავებულია მეცნიერები და ჩვენი „ქართლის ცხოვრება" ასე გვეუბნებიან, ვითომც ეს მოწანწალე თურქის ურდოები მეათე საუკუნის აქეთ მოსულიყვნენ საშუალო აზიიდან, საცა დღეს ტაშკენტი, ბუხარა და ხივა, საცა დღეს თურქისტანი მდებარეს. ეჭვი არ არის, რომ ისინი საშუალო აზიიდან არიან მოსული არამც თუ კავკასიაში, თვითონ სპარსეთში და სომხეთშიაც, მაგრამ არც ისე გვიან არიან მოსულნი, როგორც ამას მეცნიერები მოგვითხრობენ; ისინი ბევრათ უფრო ადრე უნდა იყვნენ შემოსახლებულნი.

ამ ხალხმა პირველად თავი იჩინა ორი საუკუნის წინათ ქრისტემდის, როცა პართელები მოაწვნენ აღმოსავლეთით რომის რესპუბლიკას და რომის მხედართ მთავარი ქრასსი თავის ლეგიონებით ამოქ�itეს. ᲘᲜᲘᲜᲘ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲙᲐᲠᲒᲐ ᲮᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲘᲜᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲑ ᲛᲗᲔᲚᲡ ᲐᲡᲣᲠᲔᲗᲨᲘ, ᲐᲓᲔᲠᲑᲔᲘᲯᲐᲜᲨᲘ, ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲨᲘ ᲑᲔᲠᲗᲣᲯᲐᲛᲓᲘᲡ. Маашасадамე თურქის ტომი კავკასიაში ერთი და ორი საუკუნოს მოსული კი არის, თითქმის ორი ათასი წლის მოსულია.

მას აქეთ ეს ხალხები შეზდილი არიან ისტორიით ჩვენთან, ისე როგორც სომხები; დღეს მუღანლოს თურქებს და ქართველს ერთმანეთში ვეღარ გაარჩევს კაცი ვერც ადათით, ვერც პირის,-სახით ვერც ჩეულებით, ქართულსაც ისე ლაპარაკობენ, როგორც კახელები. ᲘᲜᲘᲜᲘ ᲒᲐᲜᲘᲠᲩᲔᲕᲘᲐᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲘᲗ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲫᲐᲮᲛᲐᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲘᲡᲐᲜᲘ, მაგრამ ეს სარწმუნოება დღეს ქართველსა და მუღანლოს არ უშლის მეზობლობას და მეგობრულს დამოკიდებულებას ერთმანეთში. Იმათ სრულებით დაჰკარგვიათ უწინდელი თურქის ერი და დიდიხნის ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ, ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲐᲠᲔᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲕᲚᲘᲐ ᲘᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚᲝᲑᲐ, ᲐᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲘᲢᲧᲕᲘᲐᲜ, ᲘᲛᲘᲡᲘ ᲢᲘᲞᲘ. ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲡ ᲣᲨᲕᲔᲠᲘ, ᲣᲚᲐᲖᲗᲝᲗ ᲞᲘᲠᲘᲡ-ᲡᲐᲮᲔ ᲣᲬᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲗᲣᲠᲥᲘᲡᲐ ᲒᲐᲣᲚᲐᲛᲐᲖᲔᲑᲘᲐ, ᲓᲐᲣᲠᲑᲘᲚᲔᲑᲘᲐ, ᲜᲐᲠᲜᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲝᲜᲔᲑᲐ-ᲛᲐᲮᲕᲔᲚᲘ ᲙᲕᲐᲚᲘ ᲓᲐᲣᲑᲔᲭᲓᲐᲕᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲖᲔ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲖᲔ, ᲚᲔᲙᲘᲡᲐ, ᲝᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲛᲮᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲔᲑᲖᲔ.

ᲓᲦᲔᲡ ᲔᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲗᲣᲠᲥᲘᲡ ᲛᲝᲓᲒᲛᲐ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲒᲐᲛᲮᲓᲐᲠᲐ ᲧᲝᲕᲚᲘᲡ ᲤᲠᲐᲓ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲔᲚᲘ.

ᲡᲐᲜᲐᲛᲓᲘᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲛᲝᲔᲤᲘᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲡᲙᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ, ᲘᲡᲘᲜᲘᲪ ᲘᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲜᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲠᲐᲡᲚᲔᲑᲘ. ᲛᲔᲠᲔᲣᲗᲔ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ ᲘᲛᲐᲗ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲝᲛᲮᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲘᲣᲚᲘᲐᲗ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲐᲜ ᲑᲝᲠᲒᲐᲡᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ, ᲓᲐ ᲨᲔᲣᲓᲒᲔᲜᲘᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲝ ᲖᲐᲩᲘᲐᲜᲘ. ᲘᲛᲗᲐᲗ ᲣᲑᲠᲫᲝᲚᲘᲐᲗ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲝᲛᲮᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ Ს�პᲐᲠᲡᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲔᲑᲘᲡ ᲨᲘᲠᲣᲨᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲑᲐᲓᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ ᲘᲡᲔ ᲗᲐᲕ-ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲣᲚᲐᲓ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲡᲝᲛᲮᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲡ ᲒᲣᲚᲣᲬᲣᲧᲐᲚᲝ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲔᲑᲘ ᲫᲐᲚᲐᲡ ᲒᲕᲐᲢᲐᲜᲔᲑᲓᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲓᲐᲒᲕᲔᲢᲝᲕᲔᲑᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲜᲘ ᲒᲐᲛᲮᲓᲐᲠᲔᲑᲘᲐᲕᲘᲗ.

Მერვე საუკუნეში გამოჩნდენ არაბები თავის მაჰმადის სარწმუნოებით და გადაიყოლიეს ᲑᲐᲩᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲝ ᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘᲐᲜᲘᲡ რჯულზე.

ᲐᲛᲘᲔᲠᲘᲗᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲘᲩᲓᲐ ᲖᲔᲜᲓᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲑᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲛᲢᲔᲠᲘ ᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲑᲐ. ᲘᲛᲐᲜ ᲒᲐᲓᲘᲧᲝᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲖᲝᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘ, ᲑᲐᲩᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲝᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡᲙᲔᲜ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲕᲔ ᲒᲐᲓᲐᲒᲕᲘᲛᲢᲔᲠᲐ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲓᲐᲜ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲛᲓᲘᲡ ᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘᲐᲜᲝᲑᲐᲛ ᲒᲐᲒᲕᲘᲛᲬᲐᲠᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ. ᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘᲐᲜᲝᲑᲐᲛ ᲛᲝᲗᲘᲜᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲐᲖᲘᲐ, ᲘᲛᲐᲜ ᲒᲐᲓᲘᲧᲝᲚᲘᲐ Ს�პᲐᲠᲡᲔᲗᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ, ᲗᲣᲠᲥᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ, ᲐᲠᲐᲑᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲔ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲙᲐᲕᲝᲠᲘᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘᲪ ᲡᲣᲚ ᲣᲬᲘᲜ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲘᲧᲕᲔᲜ.

ᲛᲔᲐᲗᲔ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲓᲐᲜ ᲓᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲣᲠᲥᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲠᲓᲝᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲫᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲐᲖᲘᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲗᲐᲜ-ᲓᲐᲗᲐᲜ ᲘᲬᲧᲔᲑᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲛᲝᲬᲝᲚᲐ. ᲛᲗᲔᲚᲘ ᲮᲣᲗᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲛ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲐᲖᲘᲘᲡ ᲗᲣᲠᲥᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲓᲝᲚᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲣᲠᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲬᲧᲔᲢᲘᲐᲗ ᲛᲝᲮᲔᲗᲥᲔᲑᲐ. ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲒᲐᲙᲘᲠᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲐᲜ ᲡᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲐᲬᲐᲜᲬᲐᲚᲐ ᲮᲐᲚᲮᲘ, ᲐᲜ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲚᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲚᲘᲚᲘᲐᲗ. ᲣᲠᲓᲝ ᲣᲠᲓᲝᲖᲔ ᲛᲝᲒᲝᲠᲐᲕᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲢᲔᲮᲘᲚᲘ, ᲐᲖᲘᲠᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲖᲦᲕᲐ ᲓᲐ ᲐᲡᲙᲔᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲨᲔᲣᲕᲐᲚᲡ ᲥᲔᲓᲔᲑᲖᲔ, ᲘᲡᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲥᲐᲤ ᲛᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲖᲔᲘᲠᲘᲗᲘ ᲖᲔᲘᲠᲘᲗᲖᲔ ᲚᲛᲣᲠᲘᲗ ᲓᲐ ᲕᲐᲘ-ᲕᲐᲒᲚᲐᲮᲘᲗ ᲔᲮᲔᲗᲥᲔᲑᲐ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲜᲐᲞᲘᲠᲘᲡ ᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲡ ᲣᲫᲠᲐᲕᲡ ᲙᲚᲓᲔᲡᲐ; ᲒᲐᲒᲘᲭᲔᲑᲣᲚᲘ ᲖᲔᲘᲠᲘᲗᲔᲑᲘ ᲔᲑᲠᲫᲘᲐᲜ ᲙᲚᲓᲔᲡ, ᲣᲜᲓᲐᲗ ᲓᲐᲜᲗᲥᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲘᲦᲠᲛᲔᲨᲘ; ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲙᲚᲓᲔ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲡᲓᲒᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲚᲐᲒᲐᲡ ᲣᲫᲠᲐᲕᲐᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲑᲠᲐᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲖᲔᲘᲠᲘᲗᲘᲡ ᲩᲐᲮᲐ-ᲩᲣᲮᲐ ᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲨᲘᲜᲔᲑᲡ; ᲑᲝᲚᲝᲡ ᲫᲐᲚᲐ-ᲒᲐᲛᲝᲚᲔᲣᲚᲘ ᲢᲐᲚᲦᲚᲘ ᲜᲔᲚᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲪᲮᲠᲔᲑᲘᲐᲜ, ᲩᲥᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲖᲦᲕᲐᲪ, ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲨᲔᲣᲠᲧᲔᲕᲔᲚ ᲙᲚᲓᲘᲡᲐ�გᲐᲜ ᲜᲐᲯᲝᲑᲜᲘ, ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲫᲝᲜᲨᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲡ ᲛᲮᲔᲪᲡᲐᲕᲘᲗ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲣᲪᲘᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲑᲣᲛᲑᲔᲠᲐᲖᲚ...

ᲓᲦᲔᲛᲓᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲛ ᲓᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲑᲣᲛᲑᲔᲠᲐᲖᲔ ᲥᲔᲓᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲡᲐᲤᲠᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲛᲐᲪ ᲘᲛᲒᲕᲐᲠᲐᲗᲗᲕᲔ ᲨᲔᲣᲠᲧᲕᲔᲚᲐᲓ ᲣᲫᲚᲝ ᲐᲒᲠᲝᲠᲕᲔᲑᲣᲚᲡ ᲓᲐ ᲯᲐᲕᲠᲘᲡᲐ�გᲐᲜ ᲞᲘᲠᲖᲔ ᲥᲐᲤ-ᲛᲝᲒᲓᲔᲑᲣᲚᲡ ᲣᲠᲘᲪᲮᲕᲡ ᲗᲣᲠᲥᲘᲡ ᲣᲠᲓᲝᲔᲑᲡ.

1). Დავით ᲐᲚᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲐᲡᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ:

„მოვიდა სულთან მალიქ-შაჰ, მოადგა სამშვილდეს და წარიყო და Іოანე ძე ლიპარიტისა (ორბელიანი) ტყვედ ჰყო და მოაოხრა სომხითი და წარვიდა..

„მოვიდეს ლაშქარნი ბოორგის მეფისანი, სძლეს სპათა ბოორგისათა და იოტნეს სპარსნი...

2)„... რამეთუ მათ ჟამთა ბოორგი მეფესა უველს გარემოსდგომსა დაესხნეს უგრძნეულოდ თურქნი, რომელთა თავადი იყო აჰმად ... აოტეს ბოორგი მეფე... თურქნი მოეფინნეს პირსა ყოველის ქვეყანისა, ვითარცა მკალნი... მასვე ერთსა დღესა დასწვეს ძეთაოისი და არტანუჯი და უდაბნონი ალარჯეთისანი და დაყვეს ამათ ქვეყანათა შინა, ვიდრე მოსვლამდე თოველისა: მოჭამეს ქვეყანა და მოსწყვიტეს, თუ სადმე ვინ დარჩომილ იყო ტყეთა, კლდეთა, ქვაბთა და ხვრელთა ქვეყანისათა. და ესე იყო პირველი და დიდი თურქობა... მოხუცებულნი არა შეწყნარებულ იქმნეს; ხოლო ქალწულნი გინებულ, ჭაბუკნი დაკვეთებულ, ხოლო ჩვილნი მიმოდატაცებულ, ცეცხლი უცხო და მბრძოლი, რომლითა მოიწვა შენებულნი ყოველნი, მდინარენი სისხლითა, ნაცვლად წყლისა ნაკადულთა...“

„მას ჟამსა დავით იყო ჰასაკით ათექვს მეტის წლისა (989 წ.)... ბანვიდა წელიწადი, ოთხი... მოიცა მეფემ ძალა... უპირატეს ყოველთა თვით წინაუვიდოდა ჯარსა... შეუზახებდა ხმითა მაღლითა და ვითა გრიგალი მუდამო იქცეოდა... ჰსერიდა და სცემდა წინა დამთხვეულთა ყოველთა...“

ამ სახით პირველი გადმოვარდნილი თურქის ურდო გაქლიტა დავითმა და გაათავისუფლა ქვეყანა.

3) რამდენიმე ხანს შემდეგ გადმოვიდა სულთანი ორასი ათასი თურქით და ჩამოესახლა თრიალეთზე...

მეფემ „აცნობა ქართველთა და მესხთა, რათა ალარჯეთს დახვდენ პაემანსა და თვით სპითა ჭოროხის პირი წარვლო შეკრბეს ერთად, უგრძნეულად დაესხნეს მათზედა; უშიშად, გულდებითა მხდომარეთა ბასთანამდე და მთად ქარმიფორისა (ბაიბურთსა და აზრუმს შუა მთა გორაზე, რომელზედაც დღეს გადის ტრანზიტის გზა ტრაპიზონიდან აზრუმს). წელი იყო 1106 ძრ. აქეთ. „მოსრეს სიმრავლე თურქთა ურიცხვი და აღიღეს დედაწული მათი, ცხენები, ცხოვარები, აქლემები და ყოველი ნაქონები მათი, რომლითა აღივსო ყოველი სამეფო მისი ყოველითა კეთილითა...“

ამგვარად მთელს დავით აღმაშენებლის მეფობაში სულ ცხრაჯერ ერთი მეორეზე უფრო დიდი თურქის ურდოები შემოსულან საქართველოში მტკვრისა და Іორის შემოყოლება. მაგრამ ცხრაჯერვე გაუქლეტია მეფეს თავის ქართველების შემწეობით და ამათი სისხლით უხვად მოურწყავს საქართველოს ნიადაგი...

დავით აღმაშენებლიდან დაწყებული Іრაკლი მეორემდის 33 მეფე ყოფილა ქართლში; სულ ცოტა რომა ვსთქვათ, თითო მეფეს სამჯერ მაინც შეხვედრია სხვა და სხვა მაჰმადიანის ტომების შემოსევა ქართლში.

მაშ მეათე საუკუნიდამ დაწყებული მეთვრამეტე საუკუნის გასვლამდის ოთხმოცდა ცხრამეტ-ჯერ მაინც შემოსეულა თურქი და სხვა ტომის მაჰმადიანები საქართველოს დასამხობად! მაგრამ ყველა ეს აუარებელი ურდოები საქართველოს ხალხის სიმტკიცეს შესკდომია; როგორც თოვლი, ისე გამდნარან და თავისი სისხლით მოურწყავთ ეს გმირების ქვეყანა.

მეთვრამეტე საუკუნის გასულს გატყდა ხვანთქარი, დაძაბუნდა სპარსეთის შახი. Іმათგან აგულიანებულს დიდი ხნიდან კავკასიაში შემოსახლებულს მაჰმადიანობას მოსწყდა კისერზ. Іაინი დაყუჩდენ, თავი მოიხარეს ახალი ძალის ქვეშ, რომელიც დღეს მთელს კავკასიის აქეთა ხეარეს მშვიდობიანათ განაგებს და არავის არავითარს შფოთსა და უწესოებას აღარ აბედვინებს.

დღეს ყოველი ხალხი, ყოველი კავკასიის მეგვარ-ტომე თავის მიწაზე და თავის ნიადაგზე მიჩემებულია; ნება აქვს მხოლოდ თავის ოფლით და მუშაობით ეძიოს თავისი კეთილდღეობა.

რაც კავკასიის ნიადაგზე მაჰმადიანია, ჩვენ იმათგან წარსულში დიდი უბედურება გვახსოვს; მაგრამ თვითონ კავკასიის აქეთა მხარეში დასახლებულს მაჰმადიანობას ამ ჩვენს წარსულს უბედურებაში ოდნა ბრალიც არა აქვს. Іს ხალხი ისე უბრალოა, როგორც ყოველი ხალხი ქვეყანაზე.

ჩვენი ცოდვა და აქამდის დაუძინებელი მტრობა ზურგზე აწევთ მარტო სტამბოლის ხვანთქრებს და Іეერანის შახებს. Іმათმა გაუმაძღრობამ მოჭაფა ჩვენი წარსული ბედნიერება. როცა ისინი დიდი ჯარით მოგვადგებოდნენ ასაოხრებლათ, წინ კავკასიის მაჰმადიანობას აირეკდენ ცხვრებსავით და უბძანებდნენ ჩვენზე ხმალი ამოეღოთ, უბრძანებდენ იმათ, როგორც ერთი სარწმუნოების ხალხს, მათ მიმხრობოდნენ. Іუ ბიჭი იყვენ და არ მიემხრობოდენ? მაშ რაგზა ჰქონდათ? სულთანის შეუბრალებელი ბასრი მაგრატელი და სპარსეთის ხმალი ერთნაირათ წკეპავდა ბორჩალოელის თათრის თავსა და კახელის თავადის თავსა.

ბოლოს, როცა იმათ ქვეყნის ცოდვა ეკითხათ, სპარსეთის შახმა და სტამბოლის ხვანთქარმა სისუსტისაგან წელი ვეღარ აითრიეს; როცა ჩვენს მაგიერი პასუხი იმათ სხვამ გასცა, კავკასიის მაჰმადიანობა და ყარაბალის ბეგები ისეთივე გულ-კეთილები, გულ-უხვნი, სტუმრის მოყვარენი და გლახაკის შემბრალებელნი გახდნენ, როგორც თვითონ ქართველები.

დღეს ზნე, მიხვრა-მოხვრა, ეკონომიური, ბატონ-ყმური დამოკიდებულება, ასე გაშინჯე მიწის მფლობელობაც იმ გვარიევა იმათ ში, როგორც ჩვენში. დღეს ბუსეინ ბეიგაროვს (სჯულით მაჰმადიანს) ყარაბალის მებატონეს თავის თავი ქართველ თავად-აზნაურობაში ჩაუწერია, ისეთივე ქართველი დარბაისელი ქართულად მოლაპარაკეა, როგორც ყოველი ზემო-ქართლის, ან ბორის უეზდის მ ბატონე. დღეს ქავკასიის მაჰმადიანობა ჩვენ, როგორც ძმებს, ისე გვიყურებს, გვთვლის თავის მეზობლათ, ჭირში და ლხინში თავის მომხრეთ.

Іმათ წინაპრებს თუმცა ჩვენი მამა-პაპები შეუწუხებიათ, მაგრამ მაგიერათ ჩვენს მამა-პაპებსაც ბევრი იმათი სისხლი დაუღვრიათ ჩვენს ნიადაგზე.

დღეს საზოგადო გარემოებას ჩვენ ორივე ტომის ხალხები ერთმანერთთან გაუთანასწორებივართ, ერთმანერთის სიყვარული გაუღვიძებია და აწ სრულებით ამ სიყვარულზე, ჩვენს გონიერს პოლიტიკურს მოსაზრებაზე და ურთიერთობაზეა დამოკიდებული ჩვენი საერთო მომავალი ბედნიერება.

ბ. წულეთელი

(შემდეგი იქნება)

დღიური

*** თფილისის ქალაქის თავი უმორჩილესად სთხოვს უფ. ხძოვანებს, რათა მობრძანდნენ, ქალაქის თავის ამოსარჩევად, რჩევის სხდომაზედ, რომელიც იქნება კვირას, 21 იანვარს, დილის 10 საათზე.

*** ამ დღეებში გამოვიდა თფილისში ახალი თათრული გაზეთი „ნ ა თ ე ლ ი“. ამ პირველს ნომერში შემდეგი სტატიებია დაბეჭდილი: „ბანათლება და გაზეთი“ (მოწინავე სტატი.), „რა არის გაზეთი ანუ რა მნიშვნელობა აქვს იმას ხალხისთვის?“ „რა მდგომარეობაშია ამ ჟამად მაჰმადიანის ხალხი?“ „პოლიტიკა, რა არის პოლიტიკა?“ „შინაური მიმოხილვა“, „ევათმყოფობა ამტარხანში“.

როგორც ამას წინათაც იყო ჩვენს გაზეთში მოყვანილი, ეს თათრული გაზეთი გამოვა კვირაში ერთხელ და წელიწადში ექვს მანეთად ეღირება. რედაქტორად არის სიდ-ეფენდი-ზადე. ჯერ-ჯერობით გაზეთი ლიტოგრაფიით იბეჭდება, რადგან, როგორც რედაქცია აცხადებს, თათრული ასოები არ მოსვლია ჯერ სტამბოლიდამ.

*** ჩვენს ოფიციალურს გაზეთს „ქავკაზში“ იწერებიან, რომ მთავრობას დაუნიშნავს გამომძიებელი კომისია რიონის ატრიადის ინტენდანტის ქორენევისა და პოდრიადჩიკის მირზოევის მოქმედებაზედ. ქომისიის თავსმჯდომარედ დანიშნულია ღენ. ტრეიტერი, წევრებად პოლკ. რუბანი და ინტენდანტის ჩინოვნიკი ქვარტანო. ბამოძიება უნდა მოხდეს Іმერეთში და ბორიაში.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ, თუ გამოძიება პატიოსნად და რიგიანათ მოახდინა კომისიამ, ბევრს ისეთს ბოროტმოქმედებას აღმოაჩენს, რომლის უყურადღებოდ გაშვება კანონს არ შეუძლიან...

*** ზემოხსენებულსავე გაზეთში იწერებიან ბორიდამ, რომ, იქაური სამასწავლებლო სემინარიის დირექტორის უფ. სიმონოვის წინადადებათ, ბორის კლუბს

გარდაწყვეტია, რომ ცალკე გადასახადი დანიშნონ ქალალდის მოთამაშებისათვის, აგრეთვე ამ კლუბში შესასვლელი ფასი მიუმატონ, მოუმატონ აგრეთვე საწყვეტო ფული კლუბისა და რაც აქედამ ფული შემოვა, ბორის საქალბო პროგიმნაზიის გასამართავად გადასდვან.

*** უფ. ბ. წერეთელი იწერება „თფილისის მოამბეში“, რომ ბექათუბნის სტანციაზე უნახავს იმას ერთი გლეხი, რომელიც ვეფხვის ტყავს ჰყიდდა; იმას გამოუკითხავს გლეხისათვის ამ ვეფხვის ტყავ-ს ამბავი და შეუტყვია იმისაგან, რომ დეკემბრის დამლევს სოფ. ქოლოთ უბნის მცხოვრებთ შეუნიშნავთ რაღაც მხეცის დიდი ფეხის კვალი და 12 გლეხი დაიარაღებულან ცულებით და გაჰყოლიან ამ კვალს. ერთ კლდესთან რომ მისულან უეცრად იქიდამ გამოვარდნილა ვეფხვი, წუვლია ტოტები სამი გლეხისთვის და ქვეშ მოუყოლია; მაგრამ, რადგან დიდი თოვლი ყოფილა, თოვლი ჩამტვრევია და ფაფხური დაუწყია: ამ დროს ერთი გლეხი მისულა, შუბლში დაურტყამს ცული და თავი შუაზე გაუხეთქია. სიგრძით ვეფხვის ტყავი კუდამდინ ორ არშინ ნახევარი იყო. ბლეხი ამ ტყავს თუთხმეტ თუმნად ჰყიდდაო.

*** ბუშინ 18 იანვარს, თბილისის ერთის წლის შეწყვეტის შემდეგ, გამოვიდა „სასოფლო ბაზეთის“ ამ წლის პირველი ნომერი. ამ ერთობ ხანგრძლივ შეჩერების მიზეზს რედაქცია ასე აგვიხსნის:

„შარშან „სასოფლო ბაზეთი“ შედგა მეოთხე ნომერს შემდეგ. მიზეზი ამისა იყო გაზეთის ფასის მიუღებლობა. ჩვენთვის ეს დიდათ სამწუხარო იყო მით უმეტესად, რომ ერთის მხრით ჩვენის მკითხველების თანაგრძნობა თან-და-თან ჩვენამდე საცნობლად მოდიოდა, და მეორეს მხრით თვით რედაქციისათვის მძიმე საგრძნობელი იყო ერთხელ დაწყებულის შრომის შეწყვეტა. ბეჯითი ჩვენი სურვილია გაზეთის დღეგრძელობა და იმედიცა გვაქვს, ეს სურვილი აგვისრულდეს. ჩვენ მეცადინეობას არ დავზოგავთ.“

*** ახალქალაქიდამ (ახალციხის) გვწერენ, რომ ამ ჟამად იქითკენ ღრმა თოვლი მოვიდა და ყინვებია.

*** ჩვენ მივიღეთ ჩვენი ფოთელი კორრესპონდენტისაგან შემდეგი შენიშნვა გაზეთში დასაბეჭდათ:

„ფოთში ერთი ბედნიერება იყო: გარეთ რომ საქონელი წყობილიყო, იმის მომპარავი ქურდი არ გამოჩნდებოდა, არა დაიკარგებოდა-რა.

„ახლა, ბატონო, ქურდები შემოგვეჩვია; ცხენი და ძროხა არ გაუშვეს არც მინდორში და არც თავლებში.

„ამ რამდენიმე კვირის წინათ ინგლისის კონსულის ბარნერის თავლიდან მოიპარეს ორი ცხენი. ქურდებს ჭონებოდათ თვით კონსულის ცხენები; ხოლო იმის კაცის დროგის ცხენები ყოფილა. საწყალი კაცი დარუპეს, ორი დროგი გაუცდა, შეძლებაც აღარ აქვს რომ სხვა ცხენები იყიდოს.

„მგრეთვე ორი კვირის წინათ მოიპარეს ერთი ახალციხელი ყასაბის ცხენი; როგორც ამბობენ, კარგი ცხენიც ყოფილა; ქურდსაც კარგი უნდოდა: ვინ იცის ვისთვის უნდოდა საფეშკაშოთ...

„ბუშინ ღამაც სწვევიან ფოთში მცხოვრებელს ბ. ს—ევს და იმის ცხენიც წაუბძანებიათ.

„ერთის სიტყვით, ჩვენი ფოთიც შორაპნის უეზდის სოფელ შროშა გამხდარა; მაგრამ შროშასავით კი არ ვიზამთ: თუ ქურდი დავიჭირეთ ნაპარავითა, ნაპარავს უკან აღარ მივართმევთ...

„ბარდა ამისა ქათმებიდან ხომ გაგვცალეს; სადაც ვისაც ქათმები ჰყავსთ, ყოველს ალაგას ჰპარავენ ქურდები. თუ საქათმეშია, თითონ შებძანდებიან და წაიყვანებენ, და თუ ხეზედ სხედან ქათმები, იმის ოსტატობაც იციან როგორ ჩამოიყვანონ: რათ გაირჯებიან, ხეზედ რათ ავლენ? ხის ძირში გოგირდს დაკმევენ, ქათმებს სუნი მიუვათ, ძირს ჩამოცვინდებიან, ტომარა მზათ არის, ჩაჰყრიან დაბნედილს ქათმებს და გაუყენებენ გზასა!?.

„ერთი ქურდი შობა ღამეს მეც მეწვია. მალე გაუგე, გავარდი გარეთ, მაგამ გაიქცა...“

ე. ბ.

„დროები“ კორრესპონდენცია

ზოგრაპნის უეზდი, 15 იანვარს. ამ დღეებში ერთმა ამაშუკეთის საზოგადოების მცხოვრებმა მოიყვანა თავისი შვილი ეკირილის ორ-კლასიან ნორმალურს შკოლაში მისაცემად. თან წარმოადგინა მოწმობა მიცემული სახალხო შკოლის მასწავლებლისაგან მამასახლისის ბეჭდით დაბეჭდილი, რომლიდამაც სჩანდა, რომ იმას ძლიერ კარგად შეესრულებინა სახალხო ერთ კლასიანი შკოლის ყველა საგნების სწავლა. ბავშის მამა თხოულობდა ეკირილის შკოლის უმფროს მაგირდებთან მიეღოთ იგი. ეს მაგირდი იყო გამოცდილი. წარმოიდგინეთ ამ შავშის მასწავლებლის მტკიცეთ ისრულება ჩვენი ძველი სახალხო შკოლების დირექტორისაგან მიცემულის პროგრამისა: ქართულს ენაზედ არც ერთი ლოცვა არ იცოდა; რუსულად კი სთქვა, ისიც მეხანიკურად. შავშმა ვერ დაიჭირა ეკზამენი და უარი ეთხრეს შკოლაში მიღებაზე.

რა სარგებლობა უნდა ნახოს ამ საცოდავმა ამისთანა მეხანიკურად დასწავლილ ლოცვებისაგან? ერთ წელს იქით ესსომბა რამე თუ არა ამ ლოცვებიდამ? რა გრძნობაში უნდა მოიყვანოს ეს მაგირდი ამისთანა რუსულად ლოცვის წაკითხვამ?..

ის შკოლა, სადაც ეს ბავშა სწავლობდა, თითქმის პირველი შკოლა იყო ყველა სახალხო შკოლებში ამ ზოგრაპნის უეზდში და მასწავლებელიც პირველ მასწავლებლად ითვლებოდა. „შავი ბეჭედი“ იმას არასოდეს არ მიუღია.

მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ დღეს ეს შკოლაც დახურულია. რისთვის? ეფიმოვსკის და ტროეს რომ კითხოთ. ამის მიზეზათ გამოიყვანენ აზნაურებს. და ბატონებს, რომელნიც ვითომც სწავლის გავრცელებაში ხელს უშლიან მათ. ამასთან კორრესპონდენტებს მიაწერს კიდევ ამას, რომელნიც ვითომც დასცინიან მათ და ამით სწავლა აღარ ვრცელდება!... მაგრამ რას იზამ კაცი? ბანა შეგიძლიან გაბედულათ უთხრა რამე მათ? მაშინ ხომ დაიღუპე? რას არ მოგიგონებენ? რა და რა დაბეზღებაებს არ მიჰყოფენ ხელს?

ვის არ შეაწუხებენ სხვა-და-სხვა დანოსებით? ვიცდით და დიდი სასოებით მოველით ახალი სასწავლებლების მზრუნველისაგან, რომ ის მიაქცევს ამ სამწუხარო მოვლენას ყურადღებას და პედაგოგიური სწავლა და კანონები დადგებიან თავის გზაზე.

ეკირილის ნორმალურ შკოლაში აზნაურისშვილებმაც შემოიყვანეს თავისი შვილები; მაგრამ, რადგანაც მონაწილეობა არ ჰქონდათ მიღებული სახლის აშენებაში, ამის გამო სწავლის უფლების ფასს გარდა ოცოცი მანეთი შემოიტანეს შკოლის საკარგებლოდ. რომ უარი ეთქვათ, ორმოცსაც სიხარულით შემოიტანდნენ. არ არის კაცი მათთვის, რომ წაუძღვეს, თორემ იგინი თვითონ შეინახვენ ერთ შკოლას, არა თუ ხელს მოუშლიან სწავლის საქმეს! აზნაურებს გლეხების დამონება უნდათო!... ამისთანა ცილის-წამება ცოდვა არის. ჩვენში ბევრი გლეხი უკვეთ ცხოვრებს ზოგიერთ აზნაურზე და როცა იქნება აზნაურების ადგილ-ძამული სულ გლეხების ხელში გადავა.

ძლიერ საინტერესო არის შეეიტყოთ როგორ მიდის სწავლება თფილისის გუბერნიაში. მიიღეს ის პლანები და წესები, რაც მასწავლებლების შეკრებილებაზე გადაწყვიტეს, თუ ყველა გაზეთების ხმა და შეკრებილების განჩინებაები ფუჭი შეიქმნენ? დიდს მადლობას შეესწირავთ ჩვენ იმ სოფლის მასწავლებელს, რომელიც გვაცნობებს თუ როგორ ასწავლიან იქ ქართველ შაგირდებს—ისევე მუნჯურათ, ხელების ნიშნებათ, თუ გასაგები ენით?

N.

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

ნემეცურს გაზეთებში დაბეჭდილი შემდეგი ამბები მცირე აზიიდამ მიღებული:

„სომხეთში კიდევ დატუქსეს ხალხი ქურდებმა და ოსმალოს ჯარებმა ბედერხანის შვილებმა მოაგროვეს ქურთები, დაეცნენ ლორბეკირის მახლობლად რამდენსამე სომხის სოფელს და აუოხრეს იქაურობა, გაეარცვეს და რამდენიმე კაციც დასჭრეს. სხვა ადგილებშიაც ხალხი ძალიან შეწუხებული ქურთებისა და თვით ოსმალოს ჯარისაგან. ამ გაერეოების თაობაზედ გამოძიება არის დანიშნული.

ზოგიერთს უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებოდნენ ამას წინათ, რომ ხაირედდინ-ფაშას, უეჭველია, მალე გამოცელის სულთანიო და მთავარ-ვეზირობას საიდ-ფაშას მისცემსო. ახლა კი იწერებიან, რომ ეს სულ ტყუილი ამბავიაო, ხაირედდინ-ფაშასი ძალიან რწმუნება აქვს ხონთქარსაო და, თუ ვინიცობაა რა-დესმე გამოსცვალა, მთავარ ვეზირობა ოსმანფაშის მეტს არავის ერგებაო.

— გაზეთს „ტაიმსში“ იწერებიან სტამბოლიდამ, რომ ადრიანოპოლიდამ მოვიდა აქ ამბავიო, რომ ბოლგარიის ხალხი არამც-და-არამც არ აპირებს დათანხმებასაო, რომ ხელ-ახლად ოსმალოს ქვეშევრდომათ გახდესო. ამ ხალხის მოთავეებს გადაწყვეტილი აქვთო, რომ, თუ ცალკე ქრისტიანი ღუბერნატორი არ დანიშნეს აღმოსავლეთ რუმელიისათვის და ბევრი სხვა უფლება არ მიანიჭეს, ისინი თოფ-იარაღს მოჰკიდებენ ხელს და აჯანყდებიან.

რუსეთი

პეტერბურღიდამ იწერებიან, რომ პროფესორს ბოტკინს გამოუცხადებია იქაურს ექიმების საზოგადოებაში, რომ ის ავათმყოფობა, რომელიც აშტარხანში აღმოჩნდა, უეჭველად შავი ჭირი (ჟამი) არისო, რომელიც ინდოეთიდამ გადმოსულა სპარსეთში და იქიდამ ჩვენშიო.

თითქმის ყველა ევროპის სახელმწიფოები ხმარობენ ახლა სხვა-და-სხვა ზომებს, რომ ეს ჭირი რუსეთიდამ იმათს ქვეყანაში არ გადავის. ბერმანიამ და ოსმალეთმა კარანტინი დანიშნეს თავის სამზღვრებზე. ავსტრიამ გადაწყვიტა გაგზავნოს ადგილობრივ რამდენიმე ექიმი ამ სატკივრის გამოსაკვლეველად. პრუსიამ 80,000 ჯარი დააყენა თავის სამზღვრებზე ყარაულად, რომ რუსეთიდამ საქონელთან ერთად ავათმყოფობა არ გადმოვიდესო და სხვ. და სხვ.

განცხადებანი

უფ. ბიბო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება ყოველნაირ ახალი ქართული წიგნები.

მაღაზია იმყოფება ბაღის ზემოდამ, ქაშვეთის ეკკლესიის ქვეით დუქნებში. ბარემე პირველს შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ წიგნები: Въ тифлисъ. Въ книжный магазинъ г. Чарквіани.

(5—1)

გასყიდვა

ფასმოუკლებელად

რადგან წვრილად ვაჭარმა მოვესპეთ და ერთად, ნარდათ ვაკრობა დავიწყეთ, ამის გამო დანიშნულია გასყიდვა იაფ ფასად მანეთზე 25 კაპეიკის დაკლებით სხვა და სხვა საქონლისა: კრეპი, არდაგანი, მატლასი, რეპსი, ჩაი, ყარსი, კრეკეა, კაშმირი შავი—75 კაპეიკამ 2 მან. 30 კაპ. შავი ალპაგა—35-75 კაპეიკამდინ, მაუდის შალები—3 მან. და 25 კაპ. 7 მან. 37 კაპეიკამდინ, ხავერდის ხალიჩები, პერანგები ტილოსი და სხვ. და სხვ.

თამამშოვის ქარვასლაში, ზემო ეტაჟაში, გასტინიცის, „კავკაზის“ პირ-და-პირ, №№ 10 და 11.

მაღაზია მალაკოვისა

(3—3)

ქუთაისში

კ. მესხის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

1) სიტყვანი და მოძღვრებანი— თქმულნი იმერეთის ეპისკოპოსის ბაბრიელის მიერ. ფასი 1 მან. და 50 კ.

2) იგივე, უკეთესი ქალალდზე დილი. ფასი 2 მან.

3) რუსული ენის დასაწყისი კურსი ქართველთათვის (Практическій начальный курсъ рус. языка для грузинъ) —შედგენილი ბ. კ—შვილის მიერ. ფასი—60 კაპ. ვინც 20 წიგნზე მოშეტებულს იყიდის, ეგზემპლიარი დაეთმობა 50 კაპეიკად.

4) დედა ენა—ი. ბოგებაშვილისაგან, 50 კ.

5) სიბრძნე სიცრუის წიგნი. ფასი — — — — — 50 კაპ.

6) ბუნების კარი—ი. ბოგებაშვილისაგან — — — — 70 კაპ.

7) პატარა ბიბლიოთეკა—იმისივე — — — — — — 10 —

8) ლოცვანი, შედგენილი მღვ. ლამბაშიძისაგან — — — 20 —

9) ნინო, მოთხრობა თ. რაფ. ერისთვისა— — — — — 15 —

10) თამარ ბატონიშვილთ—დრამა 5 მოქმ. — — — — 30 —

11) არანკა, პოემა ბ. წერეთლისა — — — — — — 20 —

12) სამზარეულო, ბარ. ჯორჯაძისა — — — — — 50 —

13) ყარამანიანი—პირველი ექვსი წიგნი— — — 30 კ. და 40 კაპ.

14) რძალისმული და მაშინიკები— კომ. თუთაევისა— — — 30 —

15) ქართული კალენდრები 15—

16) სახარება — — — 25—

აქვე ისყიდება ყოველნაირი სახელმძღვანელო წიგნები რუსულს ენაზე, კარტები, ატლასები, კალენდრები, რეეულები, კარანდაშები, მელანი, ქალალდი, სურათები საქართველოს მეფეებისა და სხვ. და სხვ.

სასოფლო შკოლებს ყოველგვარი წიგნები მიეცემა ნაკლებ ფასათ.

მაღაზია იმყოფება მიხაილოვის ქუჩაზე, ხარაზოვის სახლებში, клубის ქვეშ.

რკ. გზა.	ადილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
					მ.	კაპ.	მ.	კაპ.
თფილისი . .	9	21	5	18				
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი. . . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური. . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა . .	5	49			5	81	3	23
რიონი . . .	6	57			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი . . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	6
სამტრედია .	11	5			2	6	1	14
რიონი. . .	12	13			3		1	69
ყვირილა . .	1	18	ღამ.		3	9ა	2	21
სურამი . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური. . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა . . .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი . .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მან.	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბულს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კაზეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისკენ— ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (ბამი მისხალი) .	8

მაზანდა

	მან.	კაპ.
თფილისი, 18 იანვარს.		
ფქვ. თეთ. ბანჯგვნისა, ფთ.	1	80
ფქვილი წითელი . . .	1	40
ბერი ფუთი	1	30
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	50
—ამერიკისა, ფუთი . .	8	60
ბაპენტიანი ბამბა ფუთი.	9	60
ბატყლი თუშური ფუთი	6	50
—თარაქამისა ფუთი . .	4	50
აბრეშუმი ნუხური სტ .	2	10
ქონი, ფუთი	5	70
ქონის სანთელი ფუთი .	7	60
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	80
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	99
—ცხვრისა, ლიტრა . .	1	08
სპირტი ვედრო	4	60
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	50
—ფხვნილი ფუთი . . .	5	60
ყავა გრგვალი, გირვ. .	—	70
ხეთი ქუნჯუთისა ფუთი	12	60
თამბაქო, საშუალო ფთ.	6	50

თფილისის სამკურნალო.

ერევნის მაიდანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე ღილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და ბარ. ლევიჩი—შინაგ. ავათ., ბიუჩარიანც—საგარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბ ხუტოვი—საბეიო და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათი: ვერმიშევი შინაგანი.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ., ბიუჩარიანც—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბეიო ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою: Тифлисъ 19 Генваря 1879 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.